



გალტ & თამარიძე

გვმხმრთ მისაპქლებლობას



ელექტროენერგიის ბაზარი საქართველოში - საცალო ტარიფის ცვლილება



მარიამ ჩახვაშვილი

სექტორის უფროსი | mchakhvashvili@gt.ge



სამომხმარებლო ტარიფის ცვლილება

2026 წლის 1 აპრილიდან ელექტროენერგიის საცალო ტარიფი მოსახლეობისთვის კვტ.სთ-ზე 5 თეთრით გაიზარდა, რაც საშუალოდ 27.2%-იანი ზრდაა, ხოლო ბიზნესისთვის 4-7 თეთრით, რაც საშუალოდ 20%-იანი ზრდაა. ტარიფის ცვლილება შეეხება როგორც თელმის (თბილისი), ისე ეპკ მიწოდების (რეგიონი) მომხმარებლებს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისია (სემეკი) წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე მეთოდოლოგიით ადგენს. მიმდინარე ზრდა ძირითადად ორი ფაქტორით აიხსნება: გაზრდილი საინვესტიციო გეგმებით და ელექტროენერგიის შესყიდვის ღირებულების მატებით. დეტალური განხილვა მოცემულია მე-3 გვერდზე.

ტარიფის ზრდა პირდაპირ ზრდის კომუნალურ ხარჯს როგორც მოსახლეობისთვის, ისე იმ ბიზნესებისთვის, რომლებიც ელექტროენერგიას საცალო ბაზრიდან ყიდულობენ. ჩვენი შეფასებით, ცვლილებას რამდენიმე დამატებითი ეფექტიც ექნება:

- ტარიფის ზრდა ფასების საერთო დონეზე (ინფლაციაზე) დაახლოებით 0.7 პროცენტული პუნქტით აისახება.
- გაზრდილი საინვესტიციო ხარჯები ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის განახლებას და ავარიული გათიშვების შემცირებას, განსაკუთრებით რეგიონებში.
- ელექტროენერგიის გაძვირება გააძლიერებს ბიზნესის ინტერესს საკუთარი გენერაციის წყაროების მიმართ, როგორც ეს 2021 წლის ტარიფის მკვეთრი ზრდის შემდეგ გამოჩნდა.
- გადამცემი ქსელისა და ქვესადგურების რეაბილიტაციამ შესაძლოა მცირე სადგურების ქსელთან დაერთების ხარჯიც შეამციროს.

მნიშვნელოვანია, რომ საცალო ტარიფის ცვლილება ელექტროსადგურების გასაყიდ ფასს არ განსაზღვრავს.

საქართველოს ბაზრის სტრუქტურიდან გამომდინარე, გენერაციის ობიექტები ელექტროენერგიას საბითუმო ბაზარზე ყიდნიან, ხოლო საცალო ტარიფი ამ ღირებულებების საფუძველზე ყალიბდება. შესაბამისად, ჯერ იცვლება საბითუმო ფასი და შემდეგ ამას საცალო ტარიფი ასახავს.

ცხრილი 1: მოსახლეობის ტარიფი თეთრი/კვტ.სთ-ზე

საფეხური	2026 წ. (ახალი)	2024-2025	ზრდა
თელმის (თბილისი)			
<100 კვტ.სთ	20.0	15.0	33%
101-300 კვტ.სთ	24.1	19.1	26%
>300 კვტ.სთ	28.5	23.5	21%
ეპკ მიწოდება (რეგიონები)			
<100 კვტ.სთ	19.7	14.7	34%
101-300 კვტ.სთ	23.7	18.7	27%
>300 კვტ.სთ	28.2	23.2	22%

წყარო: სემეკი, საკანონმდებლო მაცნე, გალტ & თაგარტი

ცხრილი 2: ბიზნესის ტარიფი თეთრი/კვტ.სთ-ზე

საფეხური	2026 წ. (ახალი)	2024-2025	ზრდა
თელმის (თბილისი)			
220 ვ	35.3	29.9	18%
6-10 კვ	32.0	26.6	20%
35-110 კვ	27.8	24.4	14%
ეპკ მიწოდება (რეგიონები)			
220 ვ	35.7	29.0	23%
6-10 კვ	34.6	27.9	24%
35-110 კვ	30.3	25.3	20%

წყარო: სემეკი, საკანონმდებლო მაცნე, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ბიზნესის ტარიფი არ მოიცავს პირდაპირ მომხმარებლების ტარიფს, რომლებიც საბითუმო დონეზე შეისყიდიან ელექტროენერგიას.



საქართველოს ტარიფების კომპონენტები

საქართველოს ტარიფები ძირითადად შედგება 3 ნაწილისგან - გადამცემი ინფრასტრუქტურის ტარიფი, ელექტროენერგიის შესყიდვის ღირებულება და სახელმწიფო გადასახადები. საბოლოო საქართველოს ტარიფის ზრდაზე პირველ ორ კომპონენტს ჰქონდა ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი.

1. ინფრასტრუქტურული კომპონენტი

ინფრასტრუქტურული ნაწილი ასახავს ელექტროგადამცემი ხაზების, ქვესადგურებისა და გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციის, გაძლიერებისა და გაფართოების ხარჯს. შესაბამისად, ორივე სადისტრიბუციო არეალში ტარიფის ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ქსელში ინვესტიციების ზრდას უკავშირდება.

რეგიონებში დიდი გავლენა აქვს ენერგო-პრო ჯორჯიას 2026-30 წლების საინვესტიციო გეგმას. კომპანია ამ პერიოდში საშუალოდ დაახლოებით 200 მლნ ლარის ინვესტიციას განახორციელებს წელიწადში, რაც ჯამურად 1 მლრდ ლარზე მეტია. ინვესტიციების მთავარი მიზანია ქსელის რეაბილიტაცია, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და გათიშვების შემცირება.

თბილისში თელავის ქსელში მომდევნო 5 წლის განმავლობაში 400 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია იგეგმება. ეს თანხა მიმართული იქნება ახალი უბნების ქსელზე მიერთების, ძველი მრიცხველების ჩანაცვლებისა და არსებული ინფრასტრუქტურის განახლებისკენ.

დამატებით, ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილია საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაც, რომლის ტარიფიც 2025 წელს უკვე გაიზარდა და 2026 წლის ბოლომდე მოქმედებს. ამასთან, სსე მიმდინარე წელს საინვესტიციო გეგმის განახლებას გეგმავს, რაც შემდგომ წლებში ტარიფზე დამატებითი, თუმცა შედარებით მცირე გავლენის წყარო შეიძლება გახდეს.

2. ელექტროენერგიის შესყიდვის ღირებულება

ტარიფის მეორე მთავარი კომპონენტი არის ის ფასი, რომლითაც მიმწოდებლები ელექტროენერგიას იძენენ. ეს კომპონენტი გაიზარდა რამდენიმე მიზეზის გამო:

- პირველ რიგში, იზრდება მოხმარება და დამატებითი მოთხოვნის დაკმაყოფილება ხშირად შედარებით ძვირი რესურსით ხდება.
- მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ენგურისა და ვარდნილის ტარიფის ზრდა. ენგურისა და ვარდნილის ტარიფი 2025 წლის იანვრიდან 66%-ით გაიზარდა. ეს



სადგურები სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე იაფი რესურსია და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსახლეობის ტარიფის შედარებით დაბალ ნიშნულზე შენარჩუნებაში. თუმცა, ენგურ-ვარდნილის წილი საცალო მოხმარების დაკმაყოფილებაში დროთა განმავლობაში მცირდება, რასაც ხელს უწყობს მოხმარების ზრდა, ჰიდროლოგიური პირობები და აფხაზეთის მოხმარების დინამიკა.


- დამატებით, 2026 წლიდან გაიზარდა ხრამი 1-ისა და ხრამი 2-ის ტარიფი. ამ სადგურებს მთავრობასთან შეთანხმებული ტარიფების ვადა ამოეწურათ და ისინი სემეკის რეგულირების რეჟიმში გადავიდნენ, რამაც მათი ტარიფების ზრდა გამოიწვია.
- ასევე გაიზარდა საბალანსო ელექტროენერგიის შესყიდვის როგორც ფასი, ისე მოცულობა. ამაზე გავლენა იქონია თბოსადგურებისთვის გაზის სუბსიდირების მოხსნამ, იმპორტის გაძვირებამ და ახალი სადგურების ექსპლუატაციაში შესვლამ.

შესაბამისად, საცალო ტარიფის ზრდა მხოლოდ ქსელის საინვესტიციო ხარჯებით არ აიხსნება - მნიშვნელოვანი ფაქტორია ელექტროენერგიის შესყიდვის გაძვირებაც.

3. დღე

საქართველოს საბოლოო დონე ასევე მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართება.

გრაფიკი 1: ტარიფის სტრუქტურა მომხმარებელთა ჯგუფების მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: სემეკი, საკანონმდებლო მაცნე, გალტ & თაგარტი. ტარიფები მოქმედებს 2026 წლის ბოლომდე.



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის ან დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაცვა იმ შემთხვევაში, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიერ მიღებული სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როგორც ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტთან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის უპოლიტიკურობა, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან

გალტ & თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0108, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge